“სპარტაკი” (ვილნიუსი) – “დინამო” (თბილისი)

ვილნიუსი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

30 აგვისტოს შეხვედრამ ლიტვისა და საქართველოს ფეხბურთელებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ გათამაშების ცხრილში თბილისელები პირველ ადგილზე არიან, ხოლო ვილნიუსელები – ბოლოზე, 90 წუთის განმავლობაში მოედანზე დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა.

სპარტაკელები ამ დღეს თამაშობდნენ მთელი თავისი შესაძლებლობით, თავგანწირვით. თამაშის პირველ ნახევარში “სპარტაკის” ერთ–ერთმა ნახევარმცველმა საჯარიმო დარტყმიდან გახსნა ანგარიში. მარცხს დინამოელებმა მძაფრი იერიშებით უპასუხეს. მალე ტემპიანი კომბინაცია კოტრიკაძე–ღოღობერიძე დამთავრდა ამ უკანასკნელის მიერ გატანილი გოლით. შემდგომში მასპინძელთა კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ მეკარე ტუჩკუსმა ზედიზედ აიღო ჭკუასელის, გაგნიძის და კალოევის მიერ დარტყმული ძნელი ბურთები.

მეორე ნახევარში სპარტაკელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს “დინამოს” კართან, სადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა დაცვა.

მატჩი დამთავრდა ფრედ, ანგარიშით 1:1. ამ შეხვედრით თბილისის “დინამომ” უკვე გაინაღდა მეორე ადგილი 1953 წლის საკავშირო ჩემპიონატში.

ბ. ანთაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

“ლელო”, 2 სექტემბერი, 1953 წ.